საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ევროპეისტიკის სასწავლო და
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ევროპის
ქვეყნების კვლევის, ანალიზისა და მოდელირების
სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მიღებულია საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
--- ------- 20 წ. № ------- დადგენილებით

და დამტკიცებულია უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის)
მიერ 14. 02. 20 18 წ. № დადგენილებით 01-06-02/03

თბილისი

2017

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1 ევროპის ქვეყნების კვლევის, ანალიზისა და მოდელირების სასწავლო-კვლევითი ლაბორატორია (შემდგომში „ლაბორატორია“) არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებული, ევროპეისტიკის სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის, ევროპისმცოდნეობის სპეციალობის სასწავლო სამეცნიერო-კვლევითი ერთეული.

1.2 ლაბორატორია თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებისა და მოცემული დებულების საფუძველზე.

1.3 ლაბორატორიის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავენ და წარმართავენ ფაკულტეტის დეკანატის, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის და ლაბორატორიის ხელმძღვანელი პირები.

მუხლი 2. ევროპის ქვეყნების კვლევის, ანალიზისა და მოდელირების სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიის მიზნები და ძირითადი მიმართულებები

ლაბორატორიის მიზნები:

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ევროპეისტიკის სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის, ევროპისმცოდნეობის სპეციალობის სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობის სრულყოფა, სტუდენტების სწავლისა და სათანადო პროფესიული უნარ-ჩვევების ხარისხის ამაღლება, თანამედროვე ევროპული მოთხოვნების გათვალისწინებით;

ლაბორატორიის საქმიანობის ძირითადი ამოცანები:

2.1. ევროპისმცოდნეობის სპეციალობის სასწავლო-საგანმანათლებო საქმიანობის სრულყოფა;

2.2. ევროპაში მიმდინარე თანამედროვე პროცესების გაცნობა და ამ კუთხით ანალიტიკური საქმიანობის წარმართვა, სტრატეგიული კომუნიკაციებისა და კრიზისული სიტუაციების ანალიზი და მოდელირება;

2.3. სტუდენტების პრაქტიკული მომზადება საერთაშორისო მოლაპარაკებებისა და შეხვედრების ორგანიზებაში, და პროფესიული უნარების გამომუშავების მიზნით ამ მოლაპარაკების პროცესების მოდელირება;

2.4. რეგიონალური უსაფრთხოების გარემოს ანალიზი და მოდელირება;

2.5. ჰიბრიდული კონფლიქტების პირობებში ეფექტური საინფორმაციო პროპაგანდისა და კონტრპროპაგანდის მართვა;

2.6. ევროპისმცოდნეობის სფეროში უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე ბაკალავრებისა და მაგისტრების მომზადებაში ხელშეწყობა.

2.7. ევროპაში მიმდინარე პროცესების შესწავლის, ანალიზის, მოდელირების სფეროში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა;

2.8. სტუდენტთა სწავლისა და სათანადო უნარ-ჩვევების გამომუშავება და მისი ეფექტიანობის ამაღლება;

2.9. ევროპის, ასევე მისი მეზობელი რეგიონების უსაფრთხოების გარემოს შესწავლა, სათანადო რისკების მართვის მოდელირება და ანალიზი;

2.10. ევროპის ინტეგრაციის პოლიტიკური, სოციალურ-კულტურული და ეკონომიკური შედეგების, მულტიკულტურალიზმის ეფექტიანობის ანალიზი;

2.11. ევროინტეგრაციისა და დეზინტეგრაციის (ევრონაციონალიზმი, ევროსკეპტიციზმი), ასევე მიგრანტთა ნაკადის და ტერორიზმის ზრდის ფონზე, საქართველოს ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციის სრულყოფისა და ეფექტიანობის განსაზღვრა.

2.12. ფაკულტეტის საჭიროებისათვის ევროპისმცოდნეობის სპეციალობის პროფილით არსებული სამეცნიერო ბიბლიოთეკისა და საინფორმაციო ბაზის შექმნა.

2.13. სასწავლო პროცესში, ტრეინინგებში, სემინარებსა და კონფერენციებში მონაწილეობის მიღება.

2.14. პროექტების მომზადება და მართვა;

2.15. ანალიტიკური ბიულეტინების, კრებულების და დაიჯესტების გამოცემა;

2.16. ადგილობრივ და უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან აქტიური სამეცნიერო კონტაქტების დამყარება.

მუხლი 3. ლაბორატორიის სტრუქტურა

ლაბორატორიის საქმიანობა ხორციელდება 3 მიმართულებით: ევროპის ქვეყნების ანალიზი; მოდელირება; საგამომცემლო საქმიანობა.

ლაბორატორიის პერსონალი:

ა) ლაბორატორიის ხელმძღვანელი;

ბ) უფროსი ლაბორანტი;

გ) ლაბორანტი.

4. ლაბორატორიის სამეცნიერო „დარბაზი“

4.1 „დარბაზი“ წარმოადგენს საგანმანათლებლო და სამეცნიერო დანიშნულების სათათბიროს, რომელიც ევროპისმცოდნეობის სფეროში ლაბორატორიის თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობას წარმართავს.

4.2 მოწვეულ სპეციალისტებთან ერთად, ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომლები განიხილავენ საქართველოსა და უცხოეთში ევროპისმცოდნეობის სფეროში მიმდინარე ინოვაციური პროცესების შედეგებს და განახორციელებენ უახლესი სამეცნიერო გამოცემების მომზადებას.

4.3 პერიოდულად, დარბაზი მიიღებს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა ჯგუფებს, რომელთაც ვიზუალური მასალის ჩვენებით ჩაუტარდებათ მინი-ლექციები; გაიმართება აზრთა ურთიერთგაზიარება.

მუხლი 5. ევროპის ქვეყნების კვლევის, ანალიზისა და მოდელირების სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიის ხელმძღვანელი

5.1 ლაბორატორიის ხელმძღვანელად შეიძლება დაინიშნოს შესაბამისი პროფილის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილების მქონე პირი.

5.2 ლაბორატორიის ხელმძღვანელს თანამდებობაზე, 4 წლის ვადით - ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის წარდგინებით, ნიშნავს საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო.

5.3 ლაბორატორიის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობანი:

- ლაბორატორიის ხელმძღვანელი დებულების მოთხოვნათა შესაბამისად ანხორციელებს ლაბორატორიის საერთო ხელმძღვანელობას;
- ლაბორატორიის კვლევითი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს ხელმძღვანელი დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს;
- ხელმძღვანელობს და ხელს უწყობს საქართველოსა და უცხოეთის შესაბამისი პროფილის კვლევით დაწესებულებებთან ლაბორატორიის საქმიან ურთიერთობებს ;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებით, დასამტკიცებლად წარუდგენს ლაბორატორიის საშტატო განრიგს.
- ხელმძღვანელობს ლაბორატორიის პერსონალს;

მუხლი 6. ევროპის ქვეყნების კვლევის, ანალიზისა და მოდელირების სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიის საქმიანობის შეწყვეტა

6.1 ლაბორატორიის საქმიანობის შეწყვეტის უფლებამოსილება გააჩნია ფაკულტეტის საბჭოს;

6.2 ლაბორატორიის საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ქონება რჩება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საკუთრებაში.